# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესია

1 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესია.

დეპუტატებმა დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი. სესიის დღის წესრიგში იყო საკითხები:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის შესახებ.
2. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის შესახებ.
3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სესიამ დააკმაყოფილა ა. ა. გრომიკოს თხოვნა პენსიაზე გასვლის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

პენსიაზე გასვლის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლებული იქნა პ. ნ. დემიჩევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულია ა. ი. ლუკიანოვი.

პენსიაზე გასვლის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლდა ა. კ. ანტონოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მუდმივ წარმომადგენლად ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში არჩეულია ნ. ვ. ტალიზინი და განთავისუფლებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია ა. პ. ბირიუკოვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად არჩევის გამო ვ. მ. ჩებრიკოვი განთავისუფლდა სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ინიშნება დეპუტატი ვ. ა. კრიუჩკოვი.

ამით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 ოქტომბერი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 191 (9858) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიადაზე

სეულის XXIV თამაშებში გამოდიოდა საქართველოს თექვსმეტი ოლიმპიელი. მათ ხუთი ოქროს მედალი დაიმსახურეს, ორი — ვერცხლისა და ოთხი — ბრინჯაოს ჯილდო

**ოქროს მედლები**

1. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა)
2. დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
3. გელა კეტაშვილი (ფეხბურთი)
4. ვლადიმერ აფციაური (ფარიკაობა, გუნდური)
5. ვლადიმერ გოგოლაძე (ტანვარჯიში, გუნდური)

**ვერცხლის მედლები**

1. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა)
2. ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა)

**ბრინჯაოს მედლები**

1. ამირან ტოტიკაშვილი (ძიუდო)
2. გიორგი თენაძე (ძიუდო)
3. ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი)
4. მიხეილ გიორგაძე (წყალბურთი)

საქართველოს სხვა სპორტსმენებმა ოლიმპიადაზე ასეთი შედეგები აჩვენეს:

1. გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა) — IV ადგილი
2. მაია აზარაშვილი (მძლეოსნობა) — VII ადგილი
3. ქრისტინა ფალასანიდი (სინქრონული ცურვა) — VII ადგილი
4. გურამ გედეხაური (კლასიკური ჭიდაობა) — VII ადგილი
5. ლეილა მესხი (ჩოგბურთი) — შეჯიბრებას გამოეთიშა მეორე წრეში
6. თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა) — მონაწილეობდა წინასწარ შეჯიბრებაში. ფინალში არ გამოსულა.

# ბარსელონაში შეხვედრამდე...

**XXIV ოლიმპიადის** [illegible] დახურვას [illegible] სტადიონზე სევდიანი ილთირი დაჰკრა[illegible]. [illegible] დღესასწაულის მონაწილეებს უჭირდათ სტუმართმოყვარე ქალაქთან, კეთილმოსურნე და გულღია ხალხთან განშორება. ოლიმპიადის ორი კვირის მანძილზე ყველამ თავისი წილი სითბო და სიხარული მიიღო. ახლა ისინი გულდაწყვეტილი ემშვიდობებიან ერთმანეთს...

**ოლიმპიური** ქარტიის თანახმად, სტადიონზე შემოვიდა თამაშების მონაწილეთა ნაკრები კოლონა. ანძაზე აღიმართა სამი ქვეყნის საბერძნეთის, სამხრეთ კორეის და ესპანეთის ეროვნული ალმები. ოლიმპიელებს გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა XXIV თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ პაკ სე ჩჟიკმა. ტრადიციის თანახმად შეკრებილთა წინაშე მოკლე განცხადებით გამოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. მან მადლობა გადაუხადა სპორტსმენებს, მსაჯებს, მაყურებლებს, მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი ოლიმპიადის მაღალ დონეზე ჩატარებას და XXIV თამაშები დახურულად გამოაცხადა.

**ტრიბუნები** ერთსულოვანი [illegible] შეხვდა ბარსელონის მერის გამოჩენას, რომელმაც თავისი სეულელი კოლეგისაგან ოლიმპიური ალამი ჩაიბარა. სტადიონზე ნელ-ნელა ჩაქრა ოლიმპიური ცეცხლი და მაშინვე აციმციმდა ვეებერთელა ტაბლოზე ტრადიციული სიტყვები: „ბარსელონაში შეხვედრამდე"... ამ მომენტიდან XXIV ოლიმპიური თამაშები ისტორიის კუთვნილება იქცა.

• • •

**სურათებზე:** სეული, 1988 წლის 2 ოქტომბერი. XXIV ოლიმპიური თამაშების დახურვის საზეიმო ცერემონიალის ფრაგმენტები.

საკდეს-საქინფორმის ფოტო





თვის მონაგარი

# ოლიმპიური მედლებიც აბრჭყვიალდა

**სექტემბერში** საქართველოს სპორტსმენთა მონაგარს მთელი ოთხი წლის განმავლობაში ველოდით. ველოდით განსაკუთრებული ინტერესით, ცნობისმოყვარეობითა და, თუ გნებავთ, გულისფანცქალითაც. რატომაც არა? ოლიმპიური თამაშები ხომ მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. ამასთან, ოლიმპიური ჩემპიონი სამუდამო ჩემპიონია, სხვა ჩემპიონს კი, ადრე თუ გვიან, უსიამოვნო ნაწილაკი „ექსი" ემატება.

ოლიმპიური თამაშები ამიტომაცაა განსაკუთრებული მოვლენა. ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი ათლეტი, რაგინდ ტიტულოვანიც უნდა იყოს, ოლიმპიურ მედალზე ოცნებობს. მის მოსაპოვებლად მთელი მონდომებით ემზადება და, როგორც იტყვიან, გაასკეცებული ენერგიით იბრძვის.

დიახ, სეულის ოლიმპიური თამაშები წლევანდელი სპორტული სეზონის მთავარი მოვლენა იყო.

იქ, შორეულ სეულში, საქართველოს თექვსმეტი წარმომადგენელი იბრძოდა. ჩვენი სპორტსმენები ასეთი რაოდენობით მესამედ იყვნენ წარმოდგენილნი, მათგან ათი მედლებით დაგვიბრუნდა. ქართველმა სპორტსმენებმა თერთმეტი მედალი, მათ შორის ხუთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს ჯილდო დაისაკუთრეს. ამ მაჩვენებლებით საქართველომ მრავალ დიდ სახელმწიფოს გაუსწრო.

**ყველაზე** დიდი სიხარული თბილისელმა ნინო სალუქვაძემ მოგვანიჭა. საუბარი სწორედ მისი მონაგარით გვინდა დავიწყოთ. ჯერ ერთი, სეულში საქართველოს ოლიმპიელთა მედლებს შორის პირველი ჯილდო, თანაც ოქროსი, მის ანგარიშზე მოდის. მან ყველას აჯობა პისტოლეტის სროლაში (30+30. 10 გასროლა), მეორეც, ნინო საქართველოს სპორტსმენთაგან გახდა პირველი, რომელმაც ერთ ოლიმპიურ თამაშში ორი მედალი მოიპოვა. იგი პნევმატური პისტოლეტის სროლაში ვერცხლის პრიზიორიც გახდა, თანაც საკვალიფიკაციო სროლის შემდეგ მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 390 ქულა.

**თბილისელი** ტანმოვარჯიშის ვლადიმერ გოგოლაძის სეულში გამგზავრების საკითხი სულ ბოლო მომენტამდე გაურკვეველი იყო. შარშან მან სერიოზული ტრავმა მიიღო და დიდხანს არ უვარჯიშია. ასე იყო თუ ისე, გოგოლაძე საბოლოოდ ნაკრებში მოხვდა და სეულში იმედებიც გაამართლა. იგი გუნდურ პირველობაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. თანაც მან თავისუფალ ვარჯიშში სამმაგი მალაყი გააკეთა და მაყურებლების მქუხარე ტაშიც დაიმსახურა. რატომაც არა, მთელ მსოფლიოში სამმაგი მალაყი შეჯიბრებაზე მხოლოდ ერთ სპორტსმენს ჰქონდა შესრულებული.

იხ. მე-2 გვ.

სალაღობო სტრიქონები — ზაურ ბოლქვაძე

# ჩვენი ოქროს ხუთეული

**ნინო სალუქვაძეს**

რომ გვყოლოდა ასი ნინო
ძველად ასი პისტოლეტით,
მაშინ თავისუფლებისთვის
თავისუფლად ვიბრძოლებდით!

**დავით გობეჯიშვილს**

ალმაშენებლის ალნაგ-ლონე აქვს! —
ვინმემ დასძლიოს, არა მგონია!
ოლიმპიური ჩემპიონია!
ონი ხომ მისი რაიონია!

**ვლადიმერ გოგოლაძეს**

სეულს ექვსმაგად ეჩვენა
მისი სამმაგი მალაყი,
რადგან ასეთი ილეთი
ადრე არ ჰქონდა ნანახი!

**ვლადიმერ აფციაურს**

თქვა: „რომ დავმარცხდე სეულში,
ჩემს ხალხს შევხედო რა პირით?!"
ზლაპრულად იასპარეზა! —
ოქრო აიღო რაპირით!

**გელა კეტაშვილს**

აქვს მის მედალს სხვანაირი ელვა!..
ითამაშა შეუცდომელ მცველად
და „ჩაკეტა" კეტაშვილმა გელამ, —
ვისაც იგი დარაჯობდა — ყველა.

# დღეს ბრუნდებიან

საქართველოს ოლიმპიელთა ძირითადი ჯგუფი სეულიდან გუშინ დაბრუნდა მოსკოვში და დღეს ჩვენი ოლიმპიელები თვითმფრინავით თბილისში ჩამოვლენ (რეისი № 935). მოსკოვიდან თვითმფრინავი გამოფრინდება 12 საათსა და 40 წუთზე (დრო მოსკოვისაა).

ოლიმპიადისადმი მიძღვნილი მასალები იხ. მე-2 გვერდზე.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

# ნავსი გატყდა

**შაბათს** გაიმართა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მეოთხე ტურის შეხვედრები. თუ აქამდე თამაშები ერთთავად მასპინძელთა გამარჯვებით მთავრდებოდა და საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ ყველა გუნდი ქულათა თანაბარ რაოდენობას აგროვებდა (რის გამოც ჩემპიონატი თავის დანიშნულებას — უძლიერესის გამოვლენას — თავს ვერ გაართმევდა), ამჯერად ნავსი გატყდა: სტუმრებმა ორი შეხვედრა მოიგეს და რაც ძალზე სასიხარულოა, ორჯერვე საქართველოს გუნდებმა ისახელეს თავი.

ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონები — ქუთაისის „მშენებლის" რეგბისტები მონინოში თავიანთ მთავარ კონკურენტს — სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს შეხვდნენ და წელს უკვე მესამედ დაამარცხეს — 6:3. ჩემპიონატის ფინიშზე ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგო თბილისის „ელმავალმა": რკინიგზელებმა კიევში სძლიეს „ავიატორს" — 8:3 (4:0). გამარჯვებულთაგან ლელოები ხვედელიძემ და ჯაფარაშვილმა გაიტანეს.

სხვა მატჩების შედეგები: ასკ (ალმა-ათა) — ეტს (კრასნოიარსკი) 26:13, „სლავა" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 14:9.

**გათამაშების ცხრილები**

**მდგომარეობა 4 ოქტომბრისთვის სუპერფინალი (I-IV ადგილებისთვის)**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი" | 4 | 3 | 0 | 1 | 10 |
| ასკ (ალმა-ათა) | 4 | 2 | 0 | 2 | 8 |
| ეტს (კრასნ.) | 4 | 2 | 0 | 2 | 8 |
| სსა (მონინო) | 4 | 1 | 0 | 3 | 6 |

**სანუგეშო ტურნირი (V-VIII ადგილებისთვის)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რრკ „ელმავალი" | 4 | 3 | 0 | 1 | 10 |
| „სლავა" (მოსკ.) | 4 | 2 | 0 | 2 | 8 |
| „ლოკომოტივი" (მ.) | 4 | 2 | 0 | 2 | 8 |
| „ავიატორი" (კ.) | 4 | 1 | 0 | 3 | 6 |

ბოლოსწინა ტურში, დღეს, ერთმანეთს ხვდებიან: ასკ — „მშენებელი", სსა — ეტს; „სლავა" — რრკ, „ავიატორი" — „ლოკომოტივი". თუ ქუთაისელები ალმა-ათაში გაიმარჯვებენ, ეტს კი მონინოში თუნდაც ერთ ქულას დაჰკარგავს, ქუთაისელი რეგბისტები შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე მოიპოვებენ ჩემპიონობას.

სსრ კავშირის თასზ[illegible]

# თბილისის „დინამო" — მეოთხედფინალში

**ამ** დღეებში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 198[illegible] წლის გათამაშების საპასუხო მერვედფინალური მატჩები.

გუშინ თბილისის დინამოელებმა შინ მიიღეს I ლიგის წარმომადგ[illegible]ენელი, ასკ „კარპატი" (ლვოვი). [illegible] გუნდების პირველი შეხვედრ[illegible] ლვოვში ფრედ დამთავრდა — 0:[illegible] გუშინ, საპასუხო მატჩში დინამო[illegible]ელებმა შეძლეს. გამარჯვების მო[illegible]პოვება—3:1 და გავიდნენ მეოთხე[illegible] ფინალში, რომლის შეხვედრებ[illegible] გაისად გაზაფხულზე გაიმართებ[illegible].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მონაგარი

# ოლიმპიური მედლებიც აბრჭყვიალდა

(დასასრული)

გოგოლაძისა არ იყოს, თბილისელი მოფარიკავე ვლადიმერ აფციაურიც ოლიმპიურ გუნდში უკანასკნელი შესარჩევი სტარტების შემდეგ მოხვდა და რაპირისტ ვაჟთა გუნდურ პირველობაში ოქროს მედალი დაიმსახურა. მან სეულში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მეტ არიტად გუნდური მებრძოლის ხასიათი აქვს. დაამტკიცა და მერე [illegible] — დასავლეთგერმანელ სპორტსმენებთან ფინალურ შეხვედრის აფციაური სარბიელზე ყველაზე ბევრჯერ — სამჯერ გამოვიდა და სამივეჯერ გაიმარჯვა.

ოქროს მედლით დაგვიბრუნდა თბილისელი გელა კეტაშვილიც, რომელმაც საბჭოთა ფეხბურთელების წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა. მართალია, კეტაშვილმა ჯილდო ოქტომბერში მიიღო, მაგრამ მისი „ოქრო" სექტემბრის „თვის მონაგარს" (ისევე როგორც გობეჯიშვილისა და გიორგაძის ჯილდოები) ვაკუთვნებთ, რადგან, ჯერ ერთი, საქმის ნახევარი სწორედ სექტემბერში გაკეთდა, მეორეც, ვფიქრობთ, ჩვენი ოლიმპიელების წარმატებების გახსენება ერთ წერილში უფრო უპრიანია.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პაექრობაში გამორჩეულ ინტერესს თბილისელი დავით გობეჯიშვილისა და ამერიკელი ბრიუს ბაუმგარტნერის ფინალური ბრძოლა იწვევდა, რადგან, ჯერ ერთი, ისინი ყველაზე პრესტიჟულ წონაში (მძიმე წონაში) გამოდიოდნენ, მეორეც, ამ ორ ფალავანს შორის დიდი ხანია მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავის სახელის მოსაპოვებლად ბრძოლა მიმდინარეობს. ოლიმპიადამდე ისინი შვიდჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ოთხჯერ ამერიკელმა გაიმარჯვა. ამჯერად, სეულში, ქართველმა ფალავანმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და საერთო ანგარიშიც გაათანაბრა.

ოქროს მედლის მოპოვების უცილო პრეტენდენტად ითვლებოდა მეორე თბილისელი თავისუფალი სტილის მოჭიდავე ლერი ხაბელოვიც (100 კგ). სამწუხაროდ, მან ტრავმა მიიღო და ფინალში რუმინელ ვასილ პუშკაშუსთან ჩვეული ოსტატობა ვერ გამოავლინა. რუმინელმა მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა, რაზეც, ალბათ პუშკაშუ ვერც იოცნებებდა.

თვის მონაგარში ტრადიციულად ყველაზე მეტად ჩვენი მოჭიდავეების გვარები ფიგურირებს და გამონაკლისი, რაღა თქმა უნდა, არც სეულის ოლიმპიური თამაშები იყო. გობეჯიშვილისა და ხაბელოვის გარდა მედლები მოიპოვეს ჩვენმა ძიუდოისტებმა ამირან ტოტიკაშვილმა (60 კგ) და გიორგი თენაძემ (71).

მარტყოფელმა ტოტიკაშვილმა სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. იგი პირველ წრეში მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელთან, მომავალ ჩემპიონ კიმ ჩე ხებთან, ბრძოლაში დამარცხდა, ამის შემდეგ მას მხოლოდ ბრინჯაოს მედალზეღა შეეძლო ეფიქრა და ამ მიზანს უკვე დამაჯერებლად მიაღწია.

გორელმა თენაძემ ერთადერთი მარცხი იწვნია და მანაც მომავალ ჩემპიონთან, ფრანგ მარკ ალექსანდერთან.

ალბათ გახსოვთ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელის ხერუ ფესტსის სიტყვები: — ეს იყო ორი ღირსეული მეტოქის ბრძოლა, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ფინალსაც დაამშვენებდაო. იგივე ითქმის ტოტიკაშვილზეც.

ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდა თბილისელი ხუთჭიდელი ვახტანგ იაგორაშვილი. მან პირველ სახეობაში, საცხენოსნო შეჯიბრებაში 24-ე ადგილის დაკავების შემდეგ მართლაც შეუძლებელი შეძლო და ოლიმპიური თამაშების საპატიო კვარცხლბეკამდე ამაღლდა.

თბილისელი წყალბურთელი მიხეილ გიორგაძე უკვე მრავალი წელია, რაც საბჭოთა ნაკრების ღირსებას წარმატებით იცავს. იგი სეულშიც გუნდის შემადგენლობაში იყო და მანაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ოლიმპიური თამაშები, რა თქმა უნდა, სექტემბრის და საერთოდ წლევანდელი სეზონის მთავარი სპორტული მოვლენა იყო, მაგრამ გაიმართა სხვა შეჯიბრებებიც, სადაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გამოიჩინეს თავი. მაგალითად, ერევანში გამართულ სტაციონარულ ველომრბოლელთა საკავშირო შეჯიბრებაში ქობულეთელმა სვეტა პრიახინამ ყველას აჯობა.

პირველი ლიგის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წყალბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო პირველობაში საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის „ივერიამ" პირველობა არავის დაუთმო.

ოდესაში ბეისბოლისტთა საკავშირო ტურნირში, რომელიც გაზეთ „ჩერნომორსკაია კომუნის" პრიზზე ჩატარდა, თბილისის „ივერიამ" პირველი ადგილი დაიკავა.

თბილისელმა რუდიკ კაზანჯიანმა [illegible] ვეთა საერთაშორისო ტურნირში პირველი პრიზი დაიმსახურა.

[illegible] საკავშირო თასის გათამაშებაში თბილისელმა ინგა გიორგობიანმა, ნატალია ანისიმოვამ და სვეტლანა მაკარიჩევამ ყველას აჯობეს.

ვიქტორ გოგლიძის ხსოვნი[ს]ადმი მიძღვნილ საერთაშორისო საჭადრაკო მემორიალში თბილისელმა ელიზბარ უბილავამ ბულგარელ ვალენტინ ლუკოვთან ერთად I-II ადგილები გაიყო. ამასთან, თბილისელმა მოჭადრაკემ მეორედ შეასრულა საერთაშორისო დიდოსტატის ნორმა და ამ წოდებას ფიდე ნოემბრის უახლოეს კონგრესზე მიანიჭებს.

მოსკოვში, რეგბისტთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე ჩატარდა, გაიმარჯვა სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც ორი ქართველი სპორტსმენი — ნუგზარ ძაგნიძე (ქუთაისის „მშენებელი") და თამაზ ხუადე (თბილისის „ელმავალი") იყო.

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობა კიშინიოვში გაიმართა და აქ თბილისელმა ნათია ჯანჯღავამ მეორე ადგილი დაიკავა.

იქვე გაიმართა ამ სპორტსაზოგადოების საკავშირო თასის გათამაშება სწრაფ ჭადრაკშიც. აქ თავი გამოიჩინა თბილისელმა თეა ლანჩავამ, რომელმაც ყველას აჯობა.

XXIV ოლიმპიური თამაშები სეული, 1988 წელი

## ოლიმპიადის დღიური

● ჩოგბურთი. ქალთა ერთეულების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გფრ-ის ჩოგბურთელი შტეფი გრაფი და არგენტინელი გაბრიელა საბატინი. გაიმარჯვა დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა — 6:3, 6:3. გრაფი წლეულს მსოფლიო ჩოგბურთის უმაღლეს ჯილდოს „დიდ მუზარადს" დაეუფლა. ახლა მას ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალთან ერთად ერთი სიმბოლური პრიზიც გადაეცა — „ოქროს მუზარადი". ვაჟთა ერთეულების თანრიგში, როგორც ვიუწყებოდით, ჩეხოსლოვაკიელმა მიროსლავ მეჩირჟმა გაიმარჯვა, რომელმაც ნახევარფინალში უიმბლდონის ჩემპიონს შვედ სტეფან ედბერგს აჯობა, ფინალში კი ამერიკელი ტიმ მაიოტი დაამარცხა — 3:6, 6:2, 6:4, 6:2. ვაჟთა წყვილების თანრიგში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ამერიკელთა დუეტი — კენ ფლაკი და რობერტ სეგუსო. ფინალში მათ ესპანელებს სერჯიო კასალს და ემილიო სანჩესს მოუგეს — 6:3, 6:4, 6:7, 6:7, 9:7.

● ფრენბურთი. ვაჟთა ტურნირის ფინალისტებმა ბრწყინვალე თამაში აჩვენეს. გამარჯვებას ორივე გუნდი (სსრ კავშირი და აშშ) თანაბრად იმსახურებდა, მაგრამ ამერიკელებმა უფრო ადრე მოითოკეს ნერვები და გამარჯვებასაც მიაღწიეს — 3:1 (13:15, 15:10, 15:4, 15:8).

ასევე თანაბარი ბრძოლით აღინიშნა პრინციპული მატჩი მესამე ადგილისათვის არგენტინისა და ბრაზილიის გუნდებს შორის. გაიმარჯვა არგენტინის გუნდმა 3:2 (15:10, 15:17, 15:8, 12:15, 15:9) და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ადგილები ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირში საბოლოოდ ასე განაწილდა: 1. აშშ, 2. სსრ კავშირი, 3. არგენტინა, 4. ბრაზილია, 5. ჰოლანდია, 6. ბულგარეთი.

● კრივი. ოლიმპიადის ბოლო დღეს მედლები გაითამაშეს ექვსი წონითი კატეგორიის წარმომადგენლებმა. გთავაზობთ ჩემპიონთა გვარებს და ფინალის შედეგებს: 51 კგ. კიმ გვან სენი (სამხრეთ კორეა) — დაამარცხა გდრ-ის წარმომადგენელი ანდრეას ტუსი, 57 კგ. ჯოვანი პარიზი (იტალია) — დაამარცხა რუმინელი დანიელ დუმიტრესკუ, 63,5 კგ. ვიაჩესლავ იანოვსკი (სსრ კავშირი) — დაამარცხა ავსტრალიელი გრეჰემ ჩინი. 71 კგ. პაკ სი ხონი (სამხრეთ კორეა) — დაამარცხა ამერიკელი როი ჯონსი, 81 კგ. ენდრიუ მეინარდი (აშშ) — დაამარცხა საბჭოთა მოკრივე ნორმაჰომედ შანავაზოვი, მძიმე. ლენოქს ლუისი (კანადა) — დაამარცხა ამერიკელი რიდლიკ ბოუ.

### ქვეყანა მედალი

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. სსრ კავშირი | 55 | 31 | 46 | 132 |
| 2. გდრ | 37 | 35 | 30 | 102 |
| 3. აშშ | 36 | 31 | 27 | 94 |
| 4. სამხ. კორეა | 12 | 10 | 11 | 33 |
| 5. გფრ | 11 | 14 | 15 | 40 |
| 6. უნგრეთი | 11 | 6 | 6 | 23 |
| 7. ბულგარეთი | 10 | 12 | 13 | 35 |
| 8. რუმინეთი | 7 | 11 | 6 | 24 |
| 9. საფრანგეთი | 6 | 4 | 6 | 16 |
| 10. იტალია | 6 | 4 | 4 | 14 |
| 11. ჩინეთი | 5 | 11 | 12 | 28 |
| 12. ინგლისი | 5 | 10 | 9 | 24 |
| 13. კენია | 5 | 2 | 2 | 9 |
| 14. იაპონია | 4 | 3 | 7 | 14 |
| 15. ავსტრალია | 3 | 6 | 5 | 14 |
| 16. იუგოსლავია | 3 | 4 | 5 | 12 |
| 17. ჩეხოსლოვაკია | 3 | 3 | 2 | 8 |
| 18. ახალი ზელან. | 3 | 2 | 8 | 13 |
| 19. კანადა | 3 | 2 | 5 | 10 |
| 20. პოლონეთი | 2 | 5 | 9 | 16 |
| 21 ნორვეგია | 2 | 3 | — | 5 |
| 22. ჰოლანდია | 2 | 2 | 5 | 9 |
| 23. დანია | 2 | 1 | 1 | 4 |
| 24. ბრაზილია | 1 | 2 | 3 | 6 |
| 25. ესპანეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| 26. ფინეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| 27. თურქეთი | 1 | 1 | — | 2 |
| 28. მაროკო | 1 | — | 2 | 3 |
| 29. ავსტრია | 1 | — | — | 1 |
| 30. პორტუგალია | 1 | — | — | 1 |
| 31. სურინამი | 1 | — | — | 1 |
| 32. შვეცია | — | 4 | 7 | 11 |
| 33. შვეიცარია | — | 2 | 2 | 4 |
| 34. იამაიკა | — | 2 | — | 2 |
| 35. არგენტინა | — | 1 | 1 | 2 |
| 36. ანტილის კუნ. | — | 1 | — | 1 |
| 37. ჩილი | — | 1 | — | 1 |
| 38. კოსტა-რიკა | — | 1 | — | 1 |
| 39. ვირჯინ. კუნძ. | — | 1 | — | 1 |
| 40. ინდონეზია | — | 1 | — | 1 |
| 41. ირანი | — | 1 | — | 1 |
| 42. პერუ | — | 1 | — | 1 |
| 43. სენეგალი | — | 1 | — | 1 |
| 44. ბელგია | — | — | 2 | 2 |
| 45. მექსიკა | — | — | 2 | 2 |
| 46. კოლუმბია | — | — | 1 | 1 |
| 47. საბერძნეთი | — | — | 1 | 1 |
| 48. ჯიბუტი | — | — | 1 | 1 |
| 49. მონღოლეთი | — | — | 1 | 1 |
| 50. პაკისტანი | — | — | 1 | 1 |
| 51. ფილიპინები | — | — | 1 | 1 |
| 52. ტაილანდი | — | — | 1 | 1 |
| სულ | 241 | 234 | 264 | 739 |

მკითხველი ითხოვს განმარტებას

## რა მოხდა სასროლეთზე?

**ჩვენ ადრე დავბეჭდეთ სეულიდან მიღებული ინფორმაცია სატენდო სროლაში თამაზ იმნაიშვილის გამოსვლასთან დაკავშირებით მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ.**

**„ლელოს" მკითხველები გვთხოვენ დაწვრილებით განვმარტოთ, რა მოხდა ოლიმპიურ სასროლეთზე. სეულიდან დაბრუნდა ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი და დღეს შესაძლებლობა გვეძლევა პასუხი გავცეთ მკითხველებს.**

თამაზ იმნაიშვილმა წარუმატებლად დაიწყო ასპარეზობა. სტარტის დღეს, დადგა თუ არა ცეცხლის ხაზზე, პირველივე გასროლა ააცდინა მიზანს. შემდეგ თამაზმა გვითხრა, რომ დილით, როცა შეჯიბრება დაიწყო, მზე ზუსტად სამიზნის ფრენის სიმაღლეზე იყო, დამიზნება და გასროლა დაემთხვა იმ მომენტს, როცა სამიზნე მზეს გაუსწორდა. შეჯიბრების სტარტზე ასეთი მარცხი, მით უფრო, როცა მაღალ ჯილდოზე ფიქრობ, სპორტსმენზე, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს.

თამაზმა იმ დღეს კიდევ ორჯერ ააცდინა მიზანს და სულ 72 ქულა დაუგროვდა. მეორე დღეს უკეთესად ისროლა — ერთი სამიზნე გაუფრინდა და 74 ქულას დასჯერდა. მესამე დღე, როდესაც ფინალი ტარდება, გადამწყვეტი იყო. იმედი გვქონდა, რომ იმნაიშვილი მდგომარეობას გამოასწორებდა, თავად თამაზიც ასე იყო განწყობილი, მაგრამ მწვრთნელთა საბჭო თურმე სხვაგვარად ფიქრობდა. თითოეულ გუნდს ფინალში სამი საუკეთესო სპორტსმენის გამოყვანის უფლება ეძლეოდა, ჩვენგან კი შეჯიბრებაში გამოდიოდა ოთხი მსროლელი—ბაქოელი ვალერი ტიმოხინი, ნოვოსიბირსკელი ალექსანდრ ჩერკასოვი, უფელი სვეტლანა დიომინა და თამაზ იმნაიშვილი. ამ ოთხეულიდან ფინალის წინ საუკეთესო შედეგი ჰქონდა ტიმოხინს, შემდეგ კი ჩერკასოვს. გადასაწყვეტი იყო მესამე ფინალისტის საკითხი. დიომინას იმნაიშვილზე ოდნავ უკეთესი შედეგი ჰქონდა. ამიტომ მწვრთნელებმა ფინალის განაცხადში დიომინა შეიყვანეს, თამაზს კი შეჯიბრების წინ გამოუცხადეს, რომ იგი სროლას აღარ გააგრძელებდა.

სასროლეთზე ის-ის იყო დაიწყო შეჯიბრება, როცა ჩვენს სპორტსმენთან ეს დიალოგი გაიმართა:

● **თამაზ, ცხადია, გულდაწყვეტილი ხართ. ალბათ ახლა ამაზე საუბარი უხერხულიც არის, მაგრამ იქნებ მაინც გვითხრათ, როგორ აღიქვით მწვრთნელთა გადაწყვეტილება, როგორი იყო იმ წუთში თქვენი რეაქცია?**

— მწვრთნელებს შევახსენე, რომ, მართალია, შეჯიბრებას ზოგჯერ ცუდად ვიწყებ, მაგრამ კარგად ვამთავრებ და ჩემთვის ჯერ კიდევ ყველაფერი არ იყო დაკარგული. როგორღაც მწამდა, რომ იმ დღეს შეუცდომლად ვისროდი. ასეთი რამ ბევრჯერ ყოფილა ჩემს პრაქტიკაში, მაგრამ მწვრთნელებმა გადაწყვეტილება აღარ შეცვალეს.

● **მაინც რატომ იყვნენ დიომინას წარმატებაში ასე ღრმად დარწმუნებული მწვრთნელები?**

— დიომინა უდავოდ ძლიერი სპორტსმენია. მას ძალიან ვაფასებ, მაგრამ მაინც ქალია და ასეთი საპასუხისმგებლო შეჯიბრებისას შეიძლება ნერვებმა უმტყუნოს. ეს მოსაზრებაც გავუზიარე მწვრთნელებს...

გავიდა დაახლოებით ორი საათი და ყველაფერი გაირკვა. ტიმოხინი და დიომინა სუპერფინალში (ექვსეული) კი არა, ათეულშიც ვერ მოხვდნენ. თამაზის მოსაზრება გამართლდა.

● **გული არ უნდა გაიტეხოთ, სატენდო სროლამ ასაკი არ იცის, ასე რომ, მომავალ ოლიმპიადას მოთმინებით უნდა დაელოდოთ.**

— ამ ოლიმპიადაზე რომ ჩემი სიტყვა მეთქვა, ალბათ სხვაგვარ გადაწყვეტილებას მივიღებდი, ახლა კი... მეტი რა გზაა, მართლაც მომავალ ოლიმპიადას უნდა დაველოდო.

**თენგიზ გაჩეჩილაძე.**
**„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი.**
სეული — თბილისი.

## პრეზიდენტის პრესკონფერენცია

**ოლიმპიური** თამაშების დამთავრების შემდეგ სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა მოაწყო პრესკონფერენცია და პასუხები გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

● **რამდენად ეფექტურია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ანტისადოპინგო კამპანია და რა პერსპექტივებს ხედავთ პირადად ამ ბრძოლაში?**

— არ ვეთანხმები იმ ჟურნალისტებს, რომლებმაც სეულის თამაშებს „დოპინგის ოლიმპიადა" უწოდეს. ლოს-ანჯელესში, ოთხი წლის წინ, ცამეტი ასეთი შემთხვევა იყო დაფიქსირებული, სეულში კი სამით ნაკლები. ეს იმას ნიშნავს, რომ დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა ეფექტურად მიმდინარეობს.

● **რას იტყვით კონკრეტულად კანადელი ბენ ჯონსონის საქციელზე?**

— ჯონსონს პატივს ვცემ, როგორც თანამედროვეობის უდიდეს სპორტსმენს. უფრო მეტად დამნაშავედ მიმაჩნია ის ხალხი, ვინც მას აკრძალული წამლების მიღება ურჩია. ჯონსონი ასე მკაცრად იმიტომ დავსაჯეთ, რომ სხვებიც გაფრთხილდნენ. დოპინგს მთელმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს.

● **არაობიექტური მსაჯობის გამო ბევრი სპორტსმენი უკმაყოფილებას გამოხატავდა. რა აზრისა ხართ ამის თაობაზე?**

— სავსებით ვეთანხმები სპორტსმენებს, განსაკუთრებით მოკრივეებს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მსაჯობა მომავალში უფრო კვალიფიციური იყოს.

● **ხომ არ იყო ოლიმპიადის პროგრამა ზომაზე მეტად გაბერილი?**

— არა მგონია, თუმცა 1992 წლის ოლიმპიადის პროგრამას უფრო დავწურავთ და შევკვეცავთ.

● **ამბობენ, რომ უცხოეთის ტელეკომპანიები საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტზე ერთგვარ ზეგავლენას ახდენდნენო?**

— არ გახლავთ სწორი. შეჯიბრებების დაწყების დრო ჩვენ წინასწარ შევუთანხმეთ სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებს. ასე რომ, მოულოდნელი მათთვის არაფერი იყო.

## ოლიმპიადის ტაბლო

**1 ოქტომბერი.**

**მშვილდოსნობა. გუნდური პირველობა. ქალები.** 1. სამხრეთ კორეა — 982 ქ; 2. ინდონეზია — 952; 3. აშშ — 952; 4. სსრკ — 951; **გუნდური პირველობა. ვაჟები.** 1. სამხრეთ კორეა — 986; 2. აშშ — 972; 3. დიდი ბრიტანეთი — 968; ...5. სსრკ — 949.

**მძლეოსნობა. ესტაფეტა 4X100 მ. ქალები.** 1. აშშ — 41,98; 2. გდრ — 42,09; 3. სსრკ — 42,75. **რბენა 5000 მ. ვაჟები.** 1. ჯონ ნგუგი (კენია) — 13.11,70; 2. დიტერ ბაუმანი (გფრ) — 13.15,52; 3. ჰანს-იორგ კუნცი (გდრ) — 13.15,73.

**2 ოქტომბერი.**

**ცხენოსნობა. წინაღობების გადალახვა. პირადი პირველობა.** 1. პიერ დიურანი (საფრანგეთი) — 1,25 საჯ. ქ; 2. გრეგ ბესტი (აშშ) — 4,00; 3. კარსტენ ჰუკი (გფრ) — 4,00.

**მძლეოსნობა. მარათონი. ვაჟები.** 1. ჯელინდო ბორდინი (იტალია) — 2:10.32; 2. დუგლას ვაკიიხურუ (კენია) — 2:10.47; 3. აჰმედ სალაჰი (ჯიბუტი) — 2:10.59.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრის 2 მატჩი.

„დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მინსკი) 1:1 (1:1). გოლები: რაცი (კიევი), გურინოვიჩი (მინსკი).

გააფრთხილეს კიეველი ლიტოვჩენკო და მინსკელი გომონოვი.

დუბლიორები — 2:0.

„ჟალგირისი“ — „შახტიორი“ 1:0 (0:0). ერთადერთი ბურთი 53-ე წუთზე გაიტანა ივანაუსკასმა.

დუბლიორები — 0:3.

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი. მდგომარეობა 4 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 24 | 13 | 10 | 1 | 37-17 | 36 |
| 2. „დინამო“ (კიევი) | 24 | 12 | 9 | 3 | 34-15 | 33 |
| 3. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 24 | 12 | 9 | 3 | 35-20 | 33 |
| 4. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 23 | 12 | 6 | 5 | 29-20 | 30 |
| 5. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 24 | 10 | 7 | 7 | 30-25 | 27 |
| 6. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 24 | 9 | 7 | 8 | 31-30 | 25 |
| 7. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 22 | 8 | 8 | 6 | 27-22 | 24 |
| 8. „არარატი“ (ერევანი) | 23 | 8 | 7 | 8 | 17-21 | 23 |
| 9. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 24 | 9 | 4 | 11 | 20-28 | 22 |
| 10. „შახტიორი“ (დონეცკი) | 24 | 7 | 8 | 9 | 23-23 | 22 |
| 11. „დინამო“ (თბილისი) | 24 | 8 | 4 | 12 | 25-31 | 20 |
| 12. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 24 | 6 | 8 | 10 | 23-30 | 20 |
| 13. „დინამო“ (მინსკი) | 24 | 5 | 10 | 9 | 22-26 | 20 |
| 14. „დინამო“ (მოსკოვი) | 21 | 5 | 6 | 10 | 19-26 | 16 |
| 15. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 23 | 5 | 4 | 14 | 22-36 | 14 |
| 16. „კაირატი“ (ალმა-ათა) | 24 | 4 | 3 | 17 | 17-41 | 11 |

## ქუთაისის „ტორპედო“ — მეოთხედფინალში

4/x 191(9858)

### სსრ კავშირის თასზე

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 1 ოქტომბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 3:0 (1:0).

**„ტორპედო“:** ჩხეიძე, პაპავა, თევზაძე, ბზიკაძე, ჩხაიძე, შენგელია, კიკლიაშვილი (გიგატაძე, 70), გაბისკირია (ფრუიძე, 80), მეგრელაძე, დარასელია, კაჭარავა (მანაგაძე, 80).

**„კაირატი“:** ჩეკმეზოვი (ბურაკოვი, 50), ტიმოფეევი, ივანოვი, მოტიუკი, ვოლგინი, კარაჩუნი, ფიდკოვი ლედოვსკიხი, სალიმოვი, მახუდოვი (რაჰიმოვი, 55), ფეხლევანიდი (ნაიდოვსკი, 61).

მსაჯი ა. გორინასი (ბირშონასი). გააფრთხილეს სალიმოვი.

**ქუთაისის** ტორპედოელებმა წლევანდელი საკავშირო გათამაშების მეორე ლიგაში ნათლად დაამტკიცეს, რომ მათი პოტენციური ძალა მნიშვნელოვნად აღემატება ამ ლიგის მეტოქეთა შესაძლებლობებს. გარდა ამისა, მათ წარმატებით ჩაატარეს საკავშირო თასის მატჩებიც უმაღლესი ლიგის გუნდების წინააღმდეგ — სძლიეს ჯერ ოდესის „ჩერნომორეცს“ და ახლა — ალმა-ათის „კაირატს“.

უკვე მაშინ, როცა ქუთაისის „ტორპედომ“ ალმა-ათაში ფრედ დაამთავრა პირველი მერვედფინალური მატჩი „კაირატთან“ (0:0), მას ფრიად პერსპექტიული შესაძლებლობა შეექმნა მეოთხედფინალში გასასვლელად და „ტორპედომაც“ საკუთარ მინდორზე ხელიდან არ გაუშვა ეს ხელსაყრელი შანსი.

შესაძლოა, ვინმეს აზრი შეექმნას, რომ „კაირატს“, რომელიც ახლა უმაღლესიდან პირველ ლიგაში გადასვლის უმთავრესი კანდიდატია, არ ჰქონდა ბრძოლის სტიმული, მაგრამ ეს ასე არაა. ალმაათელმა ფეხბურთელებმა სულ ახლახან საგანგებო საწვრთნელი შეკრება გამართეს შავი ზღვის სანაპიროზე და ქუთაისშიც საბრძოლოდ განწყობილნი ჩამოვიდნენ.

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა დიდი ალმავლობით და მთელი ძალით ჩაატარეს თამაში, პირველი წუთებიდან ბოლომდე ცხადი იყო, რომ ისინი არ დათმობდნენ მონაპოვარს. პირველი ტაიმის განმავლობაში, მაგალითად, ინიციატივა მთლიანად ტორპედოელებს ეპყრათ, სტუმრებმა მხოლოდ ორიოდე საპასუხო შეტევის განვითარება თუ შეძლეს. უკვე მე-11 წუთზე „კაირატის“ მხარეს საჯარიმო დაინიშნა, გაბისკირიამ ძლიერად, ზუსტად დაარტყა, მეკარე ჩეკმეზოვი არც განძრეულა ბურთი ისე გავიდა კარში.

დაიწყო მეორე ტაიმი, 48-ე წუთზე მეგრელაძემ კარგად გამოიყენა მეტოქის მცველთა შეცდომა და მეორედ აიღო ალმაათელთა გუნდის კარი — 2:0.

მასპინძლებმა ბოლომდე ინიციატივიანად ითამაშეს, 75-ე წუთზე კიკლიაშვილმა კაჭარავას გადაცემით მესამე ბურთი გაიტანა მეტოქის კარში — 3:0.

ქუთაისის „ტორპედო“ სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა.

**თამაზ ხარაბაძე.**
(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.).





## საპასუხო სტუმრობა

— ვინც ოთარ გაბელიას კარში ბურთს გაიტანს, სუვენირს მიიღებს, — გამოაცხადა დავით ყიფიანმა და თავისი ხელით გაასწორა ბურთი თერთმეტმეტრიანი დარტყმის აღმნიშვნელ წერტილზე.

ამ სიტყვებმა ინტერნატის ბიჭები აღელვა, სუვენირი რა მოსატანია იმასთან შედარებით, რომ შეიძლება სახელგანთქმულ მეკარეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ოთარ გაბელიას აჯობო. მეორე მხრივ, არც ოთარ გაბელიასთვის გახლდათ ადვილი გამოცდა. იგი ხომ ამ ბიჭების კერპია, ასეთ „წოდებას“ კი გაფრთხილება უნდა...

მარტყოფის ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებისა და თბილისის დინამოელთა ურთიერთობას ამ გაზაფხულზე ჩაეყარა საფუძველი. მაშინ ჩვენ ვიუწყებოდით, რომ დინამოელებმა შეფობა იკისრეს ინტერნატელებზე. პირველი შეხვედრის დროს დინამოელებმა თავიანთი უმცროსი მეგობრები დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მიიწვიეს. საპასუხო სტუმრობა ივნისში უნდა შემდგარიყო, მაგრამ იმის გამო, რომ ბავშვები არდადეგებზე დათქმულ ვადამდე გაემგზავრნენ ბანაკში, შეხვედრა გადაიდო. და აი, კვირას ინტერნატელები დიღმის საწვრთნელ ბაზას ეწვივნენ.

ინტერნატის დირექტორი გიორგი ანჯაფარიძე:

— დინამოელების შეფობა ჩვენს აღსაზრდელებში დიდ სიხარულს იწვევს. განსაკუთრებით მოუთმენლად ელიან ფეხბურთის დღეს, როდესაც თბილისის „დინამოს“ ავტობუსს სტადიონზე მიჰყავს ბავშვები. წელს, მოგეხსენებათ, ჩვენს ფეხბურთელებს რთული სეზონი ჰქონდათ, ასე მგონია, მათ გამარჯვებასაც და მარცხსაც ყველაზე მეტად ჩვენ განვიცდიდით. როცა იმარჯვებდნენ, ბავშვები გასახდელთან ხვდებოდნენ და ულოცავდნენ თავიანთ შეფებს.

...სტუმრებს ყველაფერი აინტერესებდათ. დინამოელებმა მათ დაათვალიერებინეს თავიანთი საცხოვრებელი კორპუსი, სპორტული ბაზები, აღსანიშნავია, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ უმცროსი მეგობრების სტუმრობას დაამთხვია დიღმის საწვრთნელი ბაზის ისტორიაში ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენას — ამ დღეს ბაზას მიეკუთვნა გამოჩენილი ფეხბურთელისა და მწვრთნელის ანდრო ჟორდანიას სახელი. მემორიალური დაფის საზეიმო გახსნაში ანდრო ჟორდანიას მეგობრებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ინტერნატის აღსაზრდელებმაც.

შუადღისას დინამოელებმა სადილი გაუმართეს სტუმრებს, შემდეგ კი ვიდეოდარბაზში აჩვენეს ფეხბურთელთა განვლილი მსოფლიო ჩემპიონატების საინტერესო მომენტები. საღამოს ბავშვებმა ვლადიმერ გუცაევის მონაწილეობით ფეხბურთი ითამაშეს, უფრო გვიან კი წვრთნის დამთავრების შემდეგ დავით ყიფიანმა ბავშვები ძირითად მოედანზე მიიწვია. სწორედ იქ ურტყამდნენ ინტერნატელი ბიჭები თერთმეტმეტრიანებს გაბელიას კარში. სხვათა შორის, ისინი გარდაბნის რაიონის ჩემპიონები არიან მოსწავლეთა შორის.

დავით ყიფიანი:

— ინტერნატის აღსაზრდელებზე შეფობამ და მზრუნველობამ სასიამოვნო პასუხისმგებლობა დაგვაკისრა. ყველა ჩვენი ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ კეთილ საქმეს აკეთებს, ეს კი, მოგეხსენებათ, ადამიანს სულიერად ამაღლებს. ფეხბურთელებს საერთოდ დაძაბული დღის რეჟიმი გვაქვს და ამის გამო ჩვენი შეხვედრები არც ისე ხშირია, მაგრამ წელიწადში რამდენჯერმე მაინც ვესტუმრებით ხოლმე ერთმანეთს.

ბავშვები და პედაგოგ-აღმზრდელები გვიან საღამოს დაბრუნდნენ შინ.

**ჯემალ კახრაძე**





სურათებზე: მემორიალური დაფის გახსნა; ყიფიანი პენალტის დასარტყმელად იწვევს ბიჭებს; ცაავა ავტოგრაფის მსურველთა ალყაში; სტუმრები და მასპინძლები.

ავტორის ფოტოები.

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები: „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 3:1, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) 1:0, „ურალანი“ (ელისტა) — „სპარტაკი“ (ანაპა) 3:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 2:1, „ლორი“ (კიროვაკანი) — „ნარტი“ (ჩერქესკი) 2:0.

## გამარჯვებით დაიწყეს

**ოდესაში** დაიწყო ოლიმპიური რეზერვებისა და I ლიგის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო პირველობის ფინალური ეტაპი. როგორც გაუწყეთ, ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის ხახელს თბილისის 35-ე სკოლის გუნდი იცავს. ჩვენმა ფეხბურთელებმა კარგად აიღეს სტარტი, პირველ შეხვედრაში მათ ოდესის „ჩერნომორეცს“ სძლიეს — 3:1.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

### საფრანგეთი

**XII ტური.** „სენტ ეტიენი“ — „კაენი“ 1:1, „ნიცა“ — „ლანი“ 3:0, „სტრასბურგი“ — „მეცი“ 1:2, „რესინგი“ — „ნანტი“ 2:0, „მარსელი“ — „კანი“ 2:1, „ლავალი“ — „ბორდო“ 1:0, „ლილი“ — „ტულონი“ 0:0, „ტულუზა“ — „ოსერი“ 0:4, „სოშო“ — „მონაკო“ 0:0, „მონპელიე“ — „პარი სენ ჟერმენი“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „პარი სენ ჟერმენი“ | 12 | 15-6 | 24 |
| „ოსერი“ | 12 | 22-10 | 24 |
| „მარსელი“ | 12 | 18-10 | 23 |

### ბელგია

**VIII ტური.** „კორტრიკი“ — „ანტვერპენი“ 1:2, „ლიეჟი“ — „მეჰელენი“ 1:1, „ლოკერენი“ — „ანდერლეხტი“ 2:4, „ბრიუგე“ — „სენტ ტრიუდენი“ 4:0, „გენკი“ — „ლიერსე“ 0:0, „მოლენბეკი“ — „სერკლი“ 2:1, „რესინგ მეჰელენი“ — „ბევერენი“ 1:3, „ბეერსკოტი“ — „სტანდარდი“ 1:1, „შარლერუა“ — „ვარეგემი“ 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი“ | 8 | 22-8 | 14 |
| „ბრიუგე“ | 8 | 23-7 | 14 |
| „მეჰელენი“ | 8 | 19-7 | 14 |

### ესპანეთი

**II ტური.** „სევილია“ — „ოვიედო“ 2:1, „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „ატლეტიკო“ (ბილბაო) 0:1, „კადისი“ — „ლოგრონესი“ 0:1, „მალაგა“ — „ვიგო“ 2:2, „ესპანიოლი“ — „მურსია“ 3:0, „ელჩე“ — „ბარსელონა“ 0:3, „ვალენსია“ — „ვალიადოლიდი“ 1:0, „ოსასუნა“ — „სარაგოსა“ 3:0, „სპორტინგი“ — „რეალი“ 2:2, „სან სებასტიანი“ — „ბეტისი“ 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბარსელონა“ | 2 | 5-0 | 4 |
| „ატლ.“ (ბილბაო) | 2 | 4-0 | 4 |
| „ლოგრონესი“ | 2 | 2-0 | 4 |

### იუგოსლავია

**VI ტური.** „ტუზლა“ — „მოსტარი“ 2:4, „რიეკა“ — „ჟელეზნიჩარი“ 3:0, „სუბოტიცა“ — „ცრვენა ზვეზდა“ 1:0, „ნოვი სადი“ — „ტიტოგრადი“ 2:0, „ჰაიდუკი“ — „ზაგრები“ 4:1, „ნიცი“ — „რადი“ (ბელგრადი) 0:0 (2:3 პენ.) „ზენიცა“ — „ვარდარი“ 1:1 (5:3 პენ.) „პარტიზანი“ — „ოსიეკი“ 1:1 (4:6 პენ.), „სარაევო“ — „კრუშევაცი“ 1:1 (5:3 პენ.).

| | | |
|---|---|---|
| „რადნიჩკი“ (ბელგრადი) | 6 | 8 |
| „ველეჟი“ (მოსტარი) | 6 | 8 |
| „ჰაიდუკი“ (სპლიტი) | 6 | 8 |

### ჩეხოსლოვაკია

**VI ტური.** „სპარტა“ — „ნიტრა“ 3:1, „ბანსკა ბისტრიცა“ — „დუკლა“ 1:3, „ბანიკი“ — „ბოჰემიანსი“ 1:0, „სლავია“ — „რუდა ჰვეზდა“ 4:3, „შკოდა“ — „დუნაისკა სტრედა“ 2:0, „ინტერი“ — „ვიტკოვიცე“ 1:0, „ოლომოუცი“ — „ჰრადეც კრალოვი“ 4:0, „ტრნავა“ — „სლოვანი“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპარტა“ | 6 | 18-6 | 10 |
| „სლავია“ | 6 | 11-10 | 9 |
| „ვიტკოვიცე“ | 6 | 13-6 | 7 |

### გფრ

**VIII ტური.** „შტუტგარტი“ — „ნიურნბერგი“ 4:0, „ჰამბურგი“ — „იურდინგენი“ 3:0, „ფრანკფურტი“ — „მანჰეიმი“ 0:0, „კარლსრუე“ — „ბოჰუმი“ 1:3, „დორტმუნდი“ — „ჰანოვერი“ 4:0, „მიონჰენგლადბახი“ — „კიკერსი“ (შტუტგარტი) 1:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „კიოლნი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 7 | 17-6 | 11 |
| „შტუტგარტი“ | 7 | 15-4 | 11 |
| „ლევერკუზენი“ | 8 | 15-11 | 10 |

### ინგლისი

**IV ტური.** „არსენალი“ — „საუთჰემპტონი“ 2:2, „ქოვენთრი“ — „ჩარლტონი“ 3:0, „ლივერპული“ — „ტოტენჰემი“ 1:1, „ლუტონი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 0:2, „მიდლსბრო“ — „უიმბლდონი“ 1:0, „მილუოლი“ — „ევერტონი“ 2:1, „ნიუკასლი“ — „ნორვიჩი“ 0:2, „ნოტინგემი“ — „დერბი“ 1:1, „ქუინს პარკი“ — „შეფილდი“ 2:0, „ვესთ ჰემი“ — „ასტონ ვილა“ 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნორვიჩი“ | 4 | 8-3 | 12 |
| „საუთჰემპტონი“ | 4 | 9-8 | 10 |
| „მილუოლი“ | 4 | 8-3 | 10 |

### ავსტრია

**XII ტური.** „ტიროლი“ — „კლაგენფურტი“ 5:1, „ვიენა“ — „ავსტრია“ 3:3, „რაპიდი“ — „ვინერ სკ“ 1:1, „გრაცერი“ — „ლინცი“ 1:0, „ადმირა“ — „შტეირი“ 1:0, „შტურმი“ — „სენტ პოლტენი“ 2:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ავსტრია“ | 12 | 33-17 | 18 |
| „ტიროლი“ | 12 | 28-12 | 17 |
| „სენტ პოლტენი“ | 12 | 23-13 | 17 |

### რუმინეთი

**VI ტური.** „სტიაუა“ — „ვიქტორია“ 3:2, „დინამო“ — „რაპიდი“ 6:0, „კრაიოვა“ — „ნაპოკა“ 4:0, „ოლტი“ — „სტუდენტესი“ 2:2, „მორენი“ — „გალატი“ 3:1, „ჰუნედოარა“ — „პიტეშტი“ 2:0, „მურეში“ — „სიბიუ“ 2:1, „კონსტანცა“ — „ბაკაუ“ 0:0, „ბრაშოვი“ — „ორადეა“ 1:0.

| | | |
|---|---|---|
| „დინამო“ | 6 | 12 |
| „სტიაუა“ | 6 | 12 |
| „ვიქტორია“ | 6 | 7 |

### შვეიცარია

**XI ტური.** „არაუ“ — „ბელინცონა“ 2:1, „ლუგანო“ — „სერვეტი“ 1:4, „ლუცერნი“ — „ქსამაქსი“ 1:0, „იანგ ბოისი“ — „სიონი“ 0:0.

| | | |
|---|---|---|
| „ლუცერნი“ | 11 | 16 |
| „გრასჰოპერსი“ | 10 | 13 |
| „სიონი“ | 11 | 13 |

# ჭადრაკის კომპოზიტორთა „ფორუმი“

**ცნობილი** ქართველი საჭადრაკო ეტიუდისტი, საერთაშორისო დიდოსტატი გია ნადარეიშვილი აირჩიეს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის საეტიუდო სუბკომისიის თავმჯდომარედ. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ფიდესთან არსებული ჭადრაკის კომპოზიციების მუდმივი კომისიის 31-ე კონგრესზე, რომელიც ახლახან ბუდაპეშტში გაიმართა.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელთა შორის ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ორი „კომპოზიტორი“ — წამყვანი ქართველი ეტიუდისტები დიდოსტატი გია ნადარეიშვილი და ქვეყნის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ვაჟა ნეიძე.

კონგრესმა განიხილა სხვადასხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები. რომლებიც ეხებოდა საჭადრაკო კომპოზიციების შემდგომ პოპულარიზაციას. ფიდე-ს წევრ ქვეყნებში საეტიუდო ჟანრის განვითარებისთვის მუშაობის გაძლიერებლად საჭადრაკო კომპოზიტორებისა და მოჭადრაკეების ურთიერთობის განმტკიცებისთვის — მუდმივმა კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია შექმნა ეტიუდების სუბკომისია. ერთ-ერთ მათგანს ამიერიდან უხელმძღვანელებს საეტიუდო ექსპერტი გია ნადარეიშვილი — ამ კომისიის მრავალი წლის წევრი.

კომისიამ მიიღო ახალი წევრი — მონღოლეთი. შეაჯამეს ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის მესამე მსოფლიო გუნდური ჩემპიონატის შედეგები, რომელშიც პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა. კონგრესზე განიხილეს აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები და მეოთხე გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯთა კორპუსის კანდიდატურები. ჩემპიონატი პოლონეთში გაიმართება. მიიღეს დებულება საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ნაკრების უძლიერესი ეტიუდისტების საინტერესო მატჩის მოწყობის შესახებ. ეს ორთაბრძოლა გაისად დაიწყება.

კონგრესს მიეძღვნა მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენა. ბუდაპეშტში ერთდროულად მიმდინარეობდა ამოცანების ამომხსნელების და ეტიუდისტების მე-12 პირადგუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. I-II ადგილები გაინაწილეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებმა.

საქინფორმი.

# მსოფლიო თასი — მესამე „რაუნდი“

**სრულიად** ახალმა შეჯიბრებამ — ექვსეტაპიანმა მსოფლიო თასის გათამაშებამ სწრაფად მოიპოვა დიდი პოპულარობა ჭადრაკის სამყაროში. უკვე ჩატარდა ორი ტურნირი (ბრიუსელსა და ბელფორში), საბოლოო შედეგებზე მხოლოდ 1989 წლის მიწურულში თუ ვიმსჯელებთ, მაგრამ ერთი რამ ცხადია — მსოფლიო თასმა თავისი უჩვეულო ფორმულით (6 შეჯიბრებიდან სავალდებულოა ოთხში მონაწილეობა, ერთი, ყველაზე უარესი შედეგი საერთო ჩათვლაში არ შედის და ა. შ.) უკვე მოინადირა ქომაგთა გული.

იმის გამო, რომ გათამაშების ფავორიტებად მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონი გ. კასპაროვი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ა. კარპოვი ითვლებიან, გულშემატკივარი მოუთმენლად ელის იმ ტურნირებს, სადაც ერთიც მონაწილეობს და მეორეც. ერთი ასეთი შეჯიბრება ბელფორში უკვე შედგა. რჩება ერთიც — რიგით მეექვსე, რომელიც გაისად სკელეფტეოში (შვეცია) ჩატარდება. ჩავთვალოთ, რომ ყველა დანარჩენ შეჯიბრებაში თანამედროვეობის ეს ორი უდიდესი დიდოსტატი დაუსწრებლად ეპაექრება ერთმანეთს.

გადავხედოთ მონაწილეთა მდგომარეობას დღეისათვის: 1. ა. კარპოვი (საბჭოთა კავშირი) — 54,5 ქულა (მონაწილეობდა ორ შეჯიბრებაში), 2. ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია)—38,5 (2), 3. ა. სოკოლოვი (საბჭოთა კავშირი) — 37 (2). 4-5, უ. ანდერსონი (შვეცია); ა. ბელიავსკი (საბჭოთა კავშირი) — 35,5 — 35,5 ქულა თითოეულს. 6. ჯ. სპილმენი (ინგლისი) — 34,5 (2), 7. გ. კასპაროვი (საბჭოთა კავშირი) — 29 ქულა (მონაწილეობდა ერთ შეჯიბრებაში), 8. ვ. სალოვი (საბჭოთა კავშირი) — 25 (1), 9. ი. ელვესტი (საბჭოთა კავშირი) — 24,5 (1), 10. ჰ. ნოგეირასი (კუბა) — 23,5 (2). 11-12. ჯ. ნანი (1), ი. ტიმანი (2) — 22-22. 13-15. ზ. რიბლი (უნგრეთი), ბ. სპასკი (საფრანგეთი), რ. ჰიუბნერი (გფრ) — 21-21 თითო ტურნირის შემდეგ. 16. ლ. პორტიში (უნგრეთი) — 19,5 (1), 17. ნ. შორტი (ინგლისი) — 18(1), 18. მ. ტალი (საბჭოთა კავშირი) — 16 (1). 19-20. პ. ნიკოლიჩი (იუგოსლავია), ი. სეირავანი (აშშ) — 13-13 ქულა თითო ტურნირის შემდეგ. 21. დ. საქსი (უნგრეთი) 10(1). 22-23. ა. იუსუპოვი (საბჭოთა კავშირი), ი. ჰიარტარსონი (ისლანდია) — 9-9 ქულა თითო ტურნირის შემდეგ. 24. ვ. კორჩნოი (შვეიცარია) — 8 ქულა (1). შეჯიბრების კიდევ ერთი მონაწილეა რ. ვაჰანიანი (საბჭოთა კავშირი), რომელიც ბრიუსელში გამოეთიშა ასპარეზობას და ჯერჯერობით ქულა არა აქვს.

რამდენიმე შენიშვნა: 1) ქულების უცნაური რაოდენობა მკითხველებს ნუ გააკვირვებს. მოჭადრაკეებს, გარდა მათ მიერ უშუალოდ მოგროვილი ქულებისა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, ამჯერად ერიცხებათ ქულების გარკვეული რაოდენობა მოპოვებული ადგილებისათვისაც, რაც აქამდე არ ყოფილა. 2) კასპაროვი მეშვიდე ადგილზე იმიტომ არის, რომ მხოლოდ ერთ ტურნირში მონაწილეობდა, ყველა ისინი კი, ვინც მას დღეისათვის უსწრებს, ორ-ორში. 3) როცა მსოფლიოს თასის გათამაშება დამთავრდება, ცხრილში ცვლილებები მოხდება თუნდაც იმიტომ, რომ მონაწილეთა ყველაზე უარესი შედეგი გათვალისწინებული არ იქნება.

ყველა ამ ახალ წესს ჩვენ კიდევ უნდა შევეჩვიოთ.

ახლა კი ზოგი რამ მსოფლიო თასის მესამე ტურნირზე, რომელიც გუშინწინ, 2 ოქტომბერს დაიწყო რეიკიავიკში (ისლანდია). მასში მონაწილეობენ: კასპაროვი, ბელიავსკი, სოკოლოვი ტალი, იუსუპოვი, ელვესტი, ანდერსონი, ჰიარტარსონი, კორჩნოი, ნიკოლიჩი, ნანი, პორტიში, რიბლი, საქსი, სპასკი, სპილმენი, ტიმანი და კიდევ ერთი ისლანდიელი დიდოსტატი, რომლის შედეგები არ ჩაითვლება. რატომ? იმიტომ, რომ ეს დიდოსტატი მსოფლიო თასის მონაწილე არ გახლავთ და მხოლოდ ვარჯიშის მიზნით თამაშობს. სწორედ ასეთი მონაწილე იყო მსოფლიო თასის პირველ ტურნირში ბრიუსელში საერთაშორისო ოსტატი ვინანტსი (ბელგია).

რა შეიძლება ითქვას რეიკიავიკის ტურნირის შესახებ? პირველი ადგილის მთავარ (შეიძლება, ერთადერთ) პრეტენდენტად მსოფლიო ჩემპიონი კასპაროვი ითვლება. დიდ ინტერესს იწვევს საკითხი, გადაასწრებს თუ არა ამ ტურნირის შემდეგ კასპაროვი საერთო ჩათვლაში კარპოვს, რომელიც რეიკიავიკში არ გამოვა.

ვესაუბრე მსოფლიოს ექსჩემპიონ ტალს, რომელიც სექტემბრის შუა რიცხვებში თბილისში იმყოფებოდა და ამრიგად, ვიქტორ გოგლიძის მემორიალი მისთვის რეიკიავიკის წინ თავისებური გენერალური რეპეტიცია გამოდგა. როგორც უკვე ვნახეთ, ტალის საქმეები მსოფლიო თასზე მაინცდამაინც ბრწყინვალედ ვერ მიდის. ახლა „რიგელი ჯადოქარი“ შეეცდება მდგომარეობის გამოსწორებას.

— შეჯიბრების მონაწილეთა შემადგენლობა იმდენად ძლიერია, — თქვა ტალმა, — რომ წინასწარ ძალზე ძნელია მათი შესაძლებლობების შედარება. რა თქმა უნდა, აქ გამონაკლისი მსოფლიო ჩემპიონისთვის უნდა დავუშვათ. რაც შემეხება მე, ასეთ სუპერტურნირში მონაწილეობა მეტად მაინტერესებს, მით უმეტეს, რომ ავადმყოფობის გამო იძულებული გავხდი გამომეტოვებინა მეორე უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი.

ერთი სიტყვით, სტარტი ეძლევა მსოფლიო თასის მესამე „რაუნდს“, 18 დიდოსტატის ტურნირს. მიმდინარე საჭადრაკო სეზონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, მეტად საინტერესო შეჯიბრებას, რომელიც 26 ოქტომბრამდე გასტანს.

გივი გამრეკელი.

საქართველოს პირველობა

**გასულ** შაბათ-კვირას გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის XXX ტურის შეხვედრები: „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:0, „ივერია“ (ხაშური) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:2, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 6:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „დინამო“ (გაგრა) 2:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 3:1, „მალთაელი“ (ჭიათურა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0, „სულორი“ (ვანი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 4:2, „მადნეული“ (ბოლნისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 4:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:3, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:0.

# ახალი „რანგ-ლისტი“

აშშ-ის ღია ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ თავისი ახალი „რანგ-ლისტი“ გამოაცხადა: ვაჟები: 1. ვილანდერი (შვეცია), 2. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 3. ედბერგი (შვეცია), 4. აგასი (აშშ), 5. ბეკერი (გფრ), 6. კეში (ავსტრალია), 7. ნოა (საფრანგეთი), 8. კონორსი, 9. მაიოტე (ორივე — აშშ) 10. მეჩირი... 20. ჩესნოკოვი... 24. მაკინროუ.

ქალები: 1. გრაფი (გფრ), 2. ნავრატილოვა, 3. ევერტი (ორივე — აშშ), 4. საბატინი (არგენტინა), 5. შრივერი (აშშ), 6. სუკოვა (ჩეხოსლოვაკია), 7. ზვერევა (საბჭოთა კავშირი), 8. მ. მალეევა (ბულგარეთი), 9. ჰარისონი (აშშ), 10. მაკნეილი (ავსტრალია)... 13. კ. მალეევა (ბულგარეთი), 14. მანდლიკოვა (ავსტრალია)... 17. სავჩენკო (საბჭოთა კავშირი).

„გრან-პრის“ პრეტენდენტ ქალების მდგომარეობა დღეისათვის ასეთია: გრაფი — 5200, ნავრატილოვა — 3555, საბატინი — 3370, ევერტი — 2980, გრივერი — 2331, სუკოვა — 1883, ჰარისონი — [illegible], ზვერევა — 1634 და ა. შ.



# პროსტი იბრუნებს ლიდერის პოზიციას

**პორტუგალიაში,** „ესტორილის“ ტრასაზე გაიმართა „ფორმულა 1“ კლასის ავტომრბოლთა მსოფლიოს 39-ე ჩემპიონატის მეცამეტე ეტაპი. მაგრამ, ჯერ გადავხედოთ „დიდი პრიზის“ გათამაშების წინა ეტაპს, რომელიც 11 სექტემბერს იტალიაში, „მონცას“ ტრასაზე გაიმართა.

შეჯიბრების წინ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ „მაკლარენის“ პილოტები კვლავ პირველ-მეორე ადგილს დაიკავებდნენ, მაგრამ მოხდა სხვაგვარად.

34-ე წრემდე სენა და პროსტი, მართლაც, ლიდერები იყვნენ, მაგრამ ფრანგმა სპორტსმენმა ავტომობილის უწესრიგობის გამო ტრასა მიატოვა. სენა ამას ყველაფერს ხედავდა და სიჩქარეს უმატა. 50-ე წრეზე კი, ერთ-ერთ მოსახვევთან მას შეეჯახა ჩემპიონატის დებიუტანტი ფრანგი ჟან-ლუი შლესერი, რომელმაც ნაიჯელ მენსელი შეცვალა.

ეს შემთხვევა ოსტატურად გამოიყენეს „ფერარის“ ავტომრბოლებმა გერჰარდ ბერგერმა და მიქელე ალბორეტომ. 51 წრე ავსტრიელმა სპორტსმენმა გაიარა 1 საათში 17 წუთსა და 39,744 წამში. ბერგერმა თავისი მეოთხე „გრან პრი“ მოიპოვა. მიქელე ალბორეტო მეორე იყო. ამერიკელმა ედი ჩივერმა და ინგლისელმა დერეკ უორვიკმა (ორივე „ეროუზ მეგატრონი“) მესამე-მეოთხე ადგილი დაიკავეს, იტალიელმა ივან კაპელიმ („მარჩ ჯადი“) — მეხუთე, ხოლო ბელგიელმა ტიერი ბუტსანმა („ბენეტონ ფორდ კოსუორტი“) — მეექვსე. მათ შესაბამისად 9, 6, 4, 3, 2 და 1 ქულა მიიღეს.

მართალია, გერჰარდ ბერგერმა წერტილი დაუსვა „მაკლარენის“ ნახევარწლიან „ბატონობას“, მაგრამ პირად ჩათვლაში ამით არაფერი შეცვლილა. სენას 75 ქულა ჰქონდა, პროსტს — 72. ბერგერმა 37 ქულა დააგროვა, ალბორეტომ — 22, ბუტსანმა — 21, დერეკ უორვიკმა — 12, ივან კაპელიმ — 8, ხოლო ედი ჩივერმა — 5.

„ჰონდას“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მომავალ წელს ამ ფირმის ატმოსფერული ძრავებით აღჭურვილი იქნება მხოლოდ „მაკლარენის“ ავტომობილები.

ახლა კი დავუბრუნდეთ პორტუგალიის „გრან პრის“ გათამაშებას.

საკვალიფიკაციო რბოლა კვლავ აირტონ სენამ მოიგო. მეორე იყო მისი თანაგუნდელი ალენ პროსტი.

იტალიაში განცდილი მარცხის შემდეგ „მაკლარენის“ პილოტები რევანშის ასაღებად გამოვიდნენ ტრასაზე.

ავტომობილები დაიძრნენ და, იქვე, პირველივე მოსახვევთან გაჩერდნენ მთავარი არბიტრის ნიშანზე. ანდრეა დე ჩეზარისმა ვერ დაიმორჩილა თავისი „რიალი“ და მას შეეჯახნენ სატორუ ნაკაჯიმა („ლოტუსი“) და ლუის პერეს-სალა („მინარდი“). სამივე ავტომობილი საგრძნობლად დაზიანდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა. სტარტი ნახევარი საათის შემდეგ განახლდა.

ლიდერობა ხელთ იგდო პროსტმა. ერთი წრის შემდეგ კი დაწინაურდა სენა. მალე პროსტმა დაიბრუნა პირველობა და ფინიშამდე წინ არავინ გაუშვია.

სენას კვლავ არ გაუმართლა. მეორე-მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მას ხელი შეუშალა ნაიჯელ მენსელმა, რომელიც კვლავ დაუბრუნდა რბოლას. ისინი ერთმანეთს შეეჯახნენ და სენა ტრასის მიღმა აღმოჩნდა. ამასობაში წინ გავიდა ივან კაპელი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. სხვათა შორის, ეს იტალიელი სპორტსმენის საუკეთესო შედეგია წლევანდელ სეზონში.

ამრიგად, ეტაპის საბოლოო შედეგი ასეთია: 1. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენ-ჰონდა“) — 9; 2. ივან კაპელი (იტალია, „მარჩ-ჯადი“) — 6; 3. ტიერი ბუტსანი (ბელგია, „ბენეტონ ფორდ კოსუორტი“) — 4; 4. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ-მეგატრონი“) — 3; 5. მიქელე ალბორეტო (იტალია, „ფერარი“) — 2; 6. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა“) — 1 ქულა.

პირად ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ალენ პროსტი — 81; 2. აირტონ სენა — 76; 3. გერჰარდ ბერგერი — 37; 4. ტიერი ბუტსანი — 25; 5. მიქელე ალბორეტო — 24; 6. ნელსონ პიკე — 16; 7. დერეკ უორვიკი — 15; 8. ივან კაპელი — 14; 9. ალესანდრო ნანინი — 9; 10. ნაიჯელ მენსელი — 6; 11-13. ჯონათან პალმერი, მაურიციო გუგელმინი, ედი ჩივერი — 5-5 ქულა; 14. ანდრეა დე ჩეზარისი — 3; 15. რიკარდო პატრეზე — 2; 16-17. სატორუ ნაკაჯიმა, პიერ-ლუიჯი მარტინი — თითო ქულა.

პროსტისათვის ეს მესამე გამარჯვებაა ამ ტრასაზე (1984, 1987, 1988), ხოლო მეხუთე წლევანდელ სეზონში. საერთოდ კი ფრანგ სპორტსმენს მოგებული აქვს 33 „გრან პრი“.

კონსტრუქტორთა პირველობაზე მდგომარეობა ასეთია: 1. „მაკლარენ-ჰონდა“ — 157; 2. „ფერარი“ — 61; 3. „ბენეტონ-ფორდ კოსუორტი“ — 34; 4. „ეროუზ-მეგატრონი“ — 20; 5. „მარჩ ჯადი“ — 19; 6. „ლოტუს-ჰონდა“ — 17; 7. „უილიამს ჯადი“ — 8; 8. „ტაირელ-ფორდ კოსუორტი“ —5; 9. „რიალ-ფორდ კოსუორტი“ — 3; 10. „მინარდი-ფორდ კოსუორტი“ — — 1 ქულა.

დავით ჩუბინიძე.

# „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი, 39-ე ტირაჟებისა, რომლებიც 1988 წლის 25 სექტემბერს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** დაშვებულია 1.530.245 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (53 ბარათი) მოგება 1.137 მანეთია, ოთხისთვის (2357) — 29, სამისთვის (33638) — 3.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** დაშვებულია 15.326.525 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (46 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (7.190) — 104, სამისთვის (217.121) — 5.

39-ე ტირაჟების მოგებები გაიცემა 1988 წლის 10 ოქტომბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით.

• • •

**გუშინწინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-40 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 2 (ბიატლონი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 20 (აფროსნობა), 42 (ჩოგბურთი), 44 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 8 (ტრეკზე ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 28 (ტყვიის სროლა), 30 (ძალოსნობა).

რედაქტორის მოადგილე
შ. ჯიჯინაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-56,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10854